

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: ВЪ Типограф. Въ редакцію газ. „Дროება“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.


ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

უძველ დღე მრგვაბათს გარდა

ფასი განსხვავდება სტრუქტურით ასობით... სტრუქტურა—8 კაპ., ჩე უნი... ცეროთი—5 კაპ. პატა... ათი...

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასახელ და გამოგზავნილი... ღირსები... დამატებული სტატიები ავტორს თავისი პასუხისმგებლობა...



ამ 1879 წელს გაზეთი

„დროება“

გამოცემა მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა

მთელი წლის მი მიიღება რედაქციაში, ბაღის ქუჩაზე მ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ გარეგნით უნდა დაიბარონ: ВЪ Типограф. Въ редакцію газеты „Дроება“.

გაზეთის ფასი

- მთელის წლისა — — 8 მან.
- მქვის თვისა — — 5 მან.
- სამის თვისა — — 3 „
- ერთის თვისა — — 1 „

პირველი თებერვლიდან წლის დამთავრებამდე 7 მან.

შუი გაზეთის დაბრუნება-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურლი, 14 თებერვალს. „მმართველობის მოამბეში“ გამოცხადებულია რომ მთავრობას აღუკრძალავს ცალკე ნომერების გასყიდვა გაზეთის „ბოლოისა“ სტრუქტურით აღკრძალულია გაზეთის „რუსკი პრავდის“ გამოცემა და „ატენესტენენი ზაპისკემა“ (ყუჩნალმა) მიიღო პირველი ვაფრთხილება.

ამავე რედაქციის გაზეთში დაბეჭდილია ხელ-მოწერილი საბოლოო მორიგების პირობა რუსეთსა და მსაღმრთლეთს შუა.

კონსტანტი, 13 თებერვალს. კონსტანტის ბანკის გამგეობის სამართალში არიან მიცემულნი; ზოგი ამათგანი დაატუსაღეს.

პეტერბურლი, 15 თებერვალს. ამბობენ, რომ ფინანსის მინისტრი ბრევიგი, ავთომოფობის გამო, სამსახურს თავს ანებებს.

მუშინ მილიერ კლინიკაში (საავთმყოფოში) მიიყვანეს გლეხი პროკრფიევი, რომელიც, პროფესორის ბოტკინის დამოწმებით, იმ ავთომოფობით არის ავთ, რომელიც 1877 წელს იყო გავრცელებული ასტრახანში. ამ ავთომოფის არავის არ ეკარებენ; 48 კაცი, რომელნიც პროკრფიევთან ცხოვრებდნენ, ყვე-

ლანი კარგათ არიან; ისინი დააყენეს ქალაქს გარეთ ცალკე სახლში, რომელიც ქალაქს ხარჯით არის ვაშართული.

პეტერბურლის ბირჟა, 12 თებერვალს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის — —	96—62
მეორე — — — — —	95—62
მესამესი — — — — —	95—
მეოთხესი — — — — —	95—50
აღმოსავლეთის პირ. —	93—
აღმოსავლეთის მეორე —	92—75
მქრო, 1/2 იმპერიალი —	8—37

მთელ. თავდა-ზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — — „ — „ შინაგანი 5% სესხის ბილეთები მან. კაპ.

პირველი სესხის — —	234 —
მეორე სესხის — — —	234—75

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	23—15
პენსი — — — — —	— — —
ამსტერდამი — —	116—25
ცენტი — — — — —	— — —
ბერლინი — — —	200—25
ჰენიგი — — — — —	— — —
პარიჟი — — — — —	247—50
სანტიმი — — — — —	— — —
პავკასიის კერასინი — —	— — —

საქართველო

უფ. ვერხვინის აზრი ჯიქეთ-აზხაზეთის დასახლებაზე

იგი არაფერი გაზღის და გააფარჯიშებს კაცის ტვინს და იმის ღონეს, როგორც თავის დაცვა, ცხოვრების საშუალების ძიება, ნამეტურ როცა ის ჩაყენებულია თავის ტალ-ამხანაგში და ცხოვრების ასპარეზი საბურთაოთ აქვს, როცა ამხანაგები გამაცადინებულნი არიან, ერთმანეთზე მეტი საცხოვრებელი შეიძინონ, როცა მეტოქე ამხანაგებს ყველას ხელეობა აქვთ გაშლილი საბრძოლათ, სამუშაოთ.

ამ მდგომარეობაში ულუკმა-პუროთ დარჩენის შიში ყველას აფთხილებს, თავის ცხოვრების დაცვის საჭიროება ყველას ამხნეებს და ყოველი იმათგანიც მით უმეტესს გულის წაღილით მიისწრაფის წინ, რომ ამხანაგებმა უკან არ ჩამოიჩინონ, არ წაართვან იმის ხედილი პური, შიმშილით სული არ ამოახდინონ.

ჩვენ ხომ იმას არ ვიტყვით, გვარტომებსა და თითოეულს კაცებს შორის დაბადებიდან სიკვდილამდის ერთი და იგივე ცხოვრების კანონი მოქმედებ-

დეს; მაგრამ სიკვდილის გულისთვის ბრძოლაში, თავის ისტორიული დანიშნულების ასრულებისათვის იმდენი მზახვებაა მთელს გვარსა და თითოეულს კაცს შორის, რომ არ შეიძლება არ შევადაროთ ორი სხვა-და-სხვა გვარის გაჯიბრება წარმატების გულისათვის ორის ამხანაგის გაჯიბრებას რაიმე ჯალდოს მისაღებათ.

მრთს რომელსამე განკრძობებულს გვარს და ცალკე ერს ისე არაფერი აუხელს თვალს, როგორც ისა, რომ შეახეფებ, თუ იმის მ.ზობელი უცხო ტომის ერი რა მოძრაობაშია, ან იმას რა გულის წაღილი აქვს თავს სასარგებლოთ.

ჩვენს საქართველოს ერს დროთა ვითარების გამო, უბედური ისტორიული გარემოების გამო ორი ნაწილი ჩვენი მიწა-წყლისა, რაც რომ ერთს ღროს სჭერია, დღეს დაუკარგავს და შეგროვილა დიდი ძველსაის შუაგულს წელზე; აღმოსავლეთ-დასავლეთის ფრთები კი—ქაპისა და შავი ზღვის პირებზე გადაყოლება—დღეს ცარიელია.

მთელი ქვეყნის ცხოვრება იმდენათ დაიძრა ამ ქამათ, რომ აღმოსავლეთის და დასავლეთის ერები დღითიდღე უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს და ამ მდგომარეობაში ისინი თან-და-თან უფრო სცნობენ ჩვენი ძველსაის ქვეყნის საჭიროებას, რადგან ეს მიწის-ყელი ერთი-ორათ უფრო უშოკლებს გზას იმათს აღებ-მიცემობას და პოლიტიკურს დამოკიდებულებას ერთმანეთში. ამიტომაც რუსეთი ცდილობს რომ დღეს გავერანებულნი ჩვენი მხრის ადგილები მიიზომოს, ქაპისის ზღვისა და შავის ზღვის მხრით რა არიან.

აი, ამ მხრით თვალის განოახელათ, შე დღეს მსურს „დროების“ მკითხველებს მოკლეთ ვაცნობო უფ. ვერხვინის თხზულების აზრი; სახელად: „ქაპკასიის შავი ზღვის პირები და იმის კოლონიზაცია“ (დასახლება). ეს თხზულება წაუკითხა უფალმა ვერხვინამ იმპერატორის სამეურნეო საზოგადოების კრებას პეტერბურლს 19 იანვარს 1878 წელს.

მოწყალენო ხელმწიფენო, მე მინდა გამოვსტქვა მიზეზი, თუ რამ აღმიძულაო ამ მოხსენების შედგენაზე—ამბობს უფ. ვერხვინი მოხსენებულს კრებაში.

1879 წელს, როცა ქაპკასიის უმთავრესს გამგეობას უნდოდა შავი ზღვის პირების—აზხაზეთის და ჯიქეთის—დასახლება, მოსკოვში რამდენამე ფული-



ანმა კაცებმა განიზრახეს ამხანაგობის შედგენა ადგილ-მამულის საყიდლათ ძავეკასიაში. ამხანაგობაში მოგროვდა ორმოცდაათი წევრი. იმათ ამოირჩიეს ორი კაცი და გაგზავნეს 1869 წელს ძავეკასიაში, რომ აქაურს მთავრობას მორიგებოდენ ვერანი მ-წა-წყლის საყიდლათ.

მაშინ, როგორც ვიცით, ძავეკასიის შემთავრესი ზამგეობის თავი იყო ბარონ ნიკოლაი და იმან უჩვენა მოსკოვის კაპიტალისტების წარმომადგენლებს თვალგაღწევილი შირაქის მინდორი პლანის და მტკვრის გაყოლებასზე, აგრეთვე მლდარის მინდორი ირრზე, თუ გინდათ, იყიდეთო.

ეს კაცები ჩვენმა ძავეკასიის მთავრობამ დიდის ყურადღებით მიიღო და ამან ისე გაამხნევა მოსკოვის შეძლებული კაცები, რომ მაშინვე დაარსდა მეორე ამხანაგობა, რომელშიაც ითვლებოდა ასი ფულიანი კაცი. პირველმა ამხანაგობამ ირჩია შირაქისა და მლდარის მინდორების ყიდვა, მეორე ამხანაგობამ კი განიზრახა აბხაზეთისა და ჯიქეთის მამულების შესყიდვა.

1870 წელს, მეორე ამხანაგობას მიემატა კადევ ორმოცდაათი კაცი სულ ფულიანები და მაშინვე დაარსდა კიდევ მესამე რუსის ამხანაგობაც, რომელშიაც ითვლებოდა ოცდაერთი კაცი. ამ უკანასკნელებმა განიზრახეს სხვა ცარიელი ალაგების შესყიდვა, რომელნიც მლდარისა და შირაქის მოსაზღვრეთ მდებარებდნენ.

1870 წელს რუსის მემამულენი შეიკრიბნენ მოსკოვში მოსკოვის სამეურნეო საზოგადოების ორმოცდაათი წლის დღეობის გადასახდელათ. ამ კრებაში პეტერბურლის უნივერსიტეტმა მოითხოვა შემდეგი კითხვის ასხნა:

— რა უნდა იყოს ისეთი საუკეთესო ღონისძიება, რომ რუსეთის საშუალო გუბერნიებიდან რუსის ხალხი გადასახდელათ პასპისა და შავი ზღვის პირზე მდებარე ქვეყნებში, ან ძავეკასიის მმართველობას რა ღონისძიება აქვს ხელში, რომ ხელი მოუწყოს რუსის ხალხის დასახლებას ძავეკასიაშიო?

რადგან მოსკოვის მემამულეების კრებამ ბევრი არა იცოდა-რა ამ საქმის, მაშინ ვერცარა უპასუხა პეტერბურლის უნივერსიტეტისაგან წარმოგზავნილს კითხვას. მაშინ ამ გადასახლების საქმე ვერაფრით გათავდა.

ზვიდენ წლები; მერე აღმოვაფლეთის ომამაც მოუსწრო.

ძავეკასიაში გადასახლებულების რიცხვი 1873 წელს 4,211 სულამდის აღიოდა. ისინი დასახლდნენ ტუაფსეს მაზრაში. მაგრამ ომიანობის დროს დიდი უბედურება შეემთხვათ და თითქმის ყველანი ისევ გადიკარგენ სოჭისაკენ. (Соч).

თუმცა ამ შეიდი-რვა წლის განმავლობაში საქმე არაფრით გათავდა, მაგრამ მაგიერთ ზემოხსენებული მოსკოვის ამხანაგობის ერთი წარმომადგენელთაგანი უფ. მერესჩიკინი დადიოდა მუდამ ძავეკასიაში და ტყობულობდა ჩვენი ქვეყნის გარემოებას, სწავლობდა ბუნებას და თვითონ ჩვენი მთავრობის აზრ-

საც იკვლევდა ძავეკასიაში რუსეთის შუაგულ გუბერნიების ხალხის გადმოსახლებასზე.

ბარონ ნიკოლაისაგან ათი წლის შედგენილს ანგარიშში ძავეკასიის გამგეობაზე, აი, სხვათა შორის რა სწერია ამ საგანზე:

„რაკი ჩრქვები და აბხაზები გასახლდნენ თავის ქვეყნიდან, ეს დიდი ძავეკასიის ნაწილი გავერანებული დარჩა და საჭირო იყო, რომ ეს ქვეყანა ხელახლა დაგვესახლებინათ.

მართის მხრით საჭირო იყო, რომ ამ ქვეყანაში მცარცეელებს და ყაჩაღებათა თავი არ შეეფარად, მეკონტრაბანდები არ გაჩენილიყვენ და მეორეს მხრით ამ ქვეყნის ბუნების სიმდიდრე მართლაც ფულად ქცეულიყო და კეთილ მდგომარეობის წყაროთ. ამ ქვეყანაში, გარეშე უსაზღვრელი და ძალიან ძვირფასი ტყეებისა, არის ისეთი ადგილები, რომ ახარებს ვაზა, აბრეშუმის ჭიას თამბაქოს და ამ სახით ხელს უწყობს ღვინის, აბრეშუმის და თუთუნის კეთებას. მაგრამ ამისთანა მოხელობის დასაფუძნებლათ და ქვეყნის გასაცოცხლებლათ საჭირო იყო ფულის ჩაყრა და მუშა ხალხის გამრავლება. პირველი განდებოდა მდიდარი კაცების შესვლით და მეორე მუშა ხალხის გადასახლებით; მაგრამ ამასთანავე ერთი დიდი სახელმწიფო განზრახვაც გონების თვალადან არ უნდა გამოგვპაროდა: ისა, რომ ამ ზღვის პირათ ისეთი ხალხი უნდა მოგვევჰატრიქა, რომ ომიანობის და პოლიტიკურ მიხლამოხლის დროს საიმედო ყოფილიყო და ხელმწიფობის ერთგული“.

ამ განზრახვის ასასრულებლათ ერთმა რუსის გაზეთმა ურჩია, ჩრქვები რომ გასახლდნენ, ისინი ისევ უკან მოვიწვიოთო და იმათ გარშემო რუსეთის მხრით და შავი ზღვის პირებზე ჩვენი რუსის ხალხი იმათ შემოვასახლოთო, და შუაში იყონო მომწყვდეული; მერე უკოლები, გზები გაგმართოთ, ჩრქვების შეიღები ჩვენს უკოლებში გამოვზარდოთო და ეს მხარე აყვავდებაო...

მაგრამ უფ. მერესჩიკინს ეს აზრი არ მოსწონს და უგზურებათაც სთვლის თავის მოხსენებაში.

ჩემის აზრით ამბობს უფ. მერესჩიკინი ძავეკასიაში შავი ზღვის ნაპირებზე, საცა ამდენი რუსის სისხლი დაღვრილა და ამდენი რუსის ფული ჩაღუბულაო, უნდა უფლებდეს მხოლოდ რუსის ეკლესია, რუსული ენა და რუსულათ სწავლებაო. ამიტომაც ყველაზე უფრო ჩვენ უნდა გვეწოდესო გული, რომ ეს ქვეყანა კარგათ გავიცნოთ და მოვიხმართო, მაგრამ სამწუხაროთ, ჩვენ აქამდის იგი ვერ გამოგვიყენებიაო და უცხო ქვეყნელების ყურადღებას უფრო კი იპყრობსო, უცხო ქვეყნელებს უფრო გამოუტყმიათო იმაზე თვალი, ვიდრე ჩვენ რუსებსო.“

შავი ზღვის ნაპირი ძავეკასია მეროპის თვალების წინაშე ხელის-გულსავეთ გადაშლილიაო. ბევრი ამ თვალებთაგა-

ნი მაღიან დიდი გულისქრქვ მტკვრე-რიო ამ ქვეყანას. მტკვრე-მუწყუტუნე ხელმწიფინო, ვიზრომით ამ ქვეყნის გულისთვის, რომ ის ჩვენის ძვირფასის რუსეთის სასარგებლოთ გახდესო, თვით მეროპამაც თვალით დაინახოსო, რომ ჩვენ, რუსებს, არამც თუ შეგვეძლება მდიდარი ქვეყნის მოპოება, არამედ იმისი გონიერად მოხმარებაცაო.“

აი, ამ სიტყვებით ათავებს უფ. მერესჩიკინი თავის მოხსენებას მოსკოვის მემამულეების წინაშე.

ბ. წერეთელი

ქალაქის რჩემის სხლოვა

ამ ორშაბათის სხლოვაზე ჩვენი ქალაქის რჩევას ჩვიდმეტი საგანი უნდა განვიხილო; მაგრამ განვიხილა მხოლოდ სამი, არც მეტი, არც ნაკლები.

მაგიერად ეს საგნები კარგათ, საფუძვლიანად იყვენ განილულნი.

პირველი საგანი, რომელზედაც მოილაპარაკა რჩევამ, იყო მოხსენება ახლად-არჩეულის სანიტარულის ქომისისა. ამ მოხსენებებამ დავინახეთ, რომ ქომისია, ქალაქის გასასუფთავებელად თხოულობს: 10 უჩასტკის ზედამხედველის დაქირავებას, 20 დესიატნიკისას, 200 მუშისას და 50 პოვოზკას, და ყველა ამისთვის თვეში დაიხარჯებაო 9,000 მანეთი; ამას გარდა ერთად 15,000 მან. სხვადა-სხვა იარაღების საყიდლად.

მრთი ნაწილი ამ ფულებსა, ქომისიის ჰაზრით, ქალაქის ხაზინამ უნდა იკისროს, დანარჩენი თვითონ მცხოვრებლებმა. ქომისია ამ თავითვე თხოულობდა 30,000 მანეთს სამისთვის ფულს.

ქომისიის წევრმა დოქტორ მართანოვმა შემოიტანა ცალკე ჰაზრი, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ უჩასტკის ზედამხედველების მაგიერად, ქალაქს შეუძლიან სამი პოლიციის აფიცერი სთხოვოს პოლიციმეისტერს და ესენი კარგათ შეასრულებენ ამ საქმესაო; თუ 15,000 მან. მიეცა ქომისიას, რჩევამ გადაწყვიტოსო, რომ ამ ფულით ქომისიამ სხვათა შორის უეჭველად იყიდოს ნაგავის დასაწვავი ფეხები; რიგზე არხები უნდა გაიყვანოს ქალაქმაო, თორემ უამისოთ ქალაქში მუდამ გაფუტებული იქნება ჰაერიო და აქედამ წარმოსდგება ყოველ გვარი ავთამყოფობაო.

ბევრი მოლაპარაკების შემდეგ რჩევამ გადაწყვიტა: დაიბეჭდოსო ქომისიის მოხსენება, აგრეთვე ზამგეობის აზრი ამ საგანზე და უფ. მართანოვისაც, დაუბრედეს ის ხმოვანებს და მერე ხელახლად იქმნეს ამ საგანზე სჯა.

უფ. ხმოვანმა მ. ბებუთოვმა შეიტანა რჩევაში წინადადება, რომ დაინიშნოსო ქომისია, რომელმაც მოხსნოს ღონისძიება, რომ სიძვირე მოისპოს ქალაქში.

რჩევამ გარდაწყვიტა: ხმ. ბებუთოვმა გარკვევით გამოაცხადოს—თუ რა ღონისძიებით შეიძლება ამ სიძვირის მოსპობა, დასწეროს თავის ჰაზრი, წარუდგინოს ის ზამგეობას, რომელიც თავის ჰაზრით წარმოუდგენს შემდეგ რჩევას.



ამ საგანზე მოლაპარაკების დროს უ. ზ. ზუბალოვმა სხვათა შორის სთქვა, რომ ქალაქს სცარცვენ და ატყავებენ რამდენიმე ჩარჩი-ვაჭრებო, რატომ ტაქცია არ არისო, რატომ ყურის მგდებელი არაფერია ჰყავს ხორაგეულის გამყიდვებსაო და სხვ.

ზამგეობის წევრმა უფ. ლოლუხანოვმა უპასუხა, რომ კანონით, ტაქციის დადება მართო ხორცზე და პურზე შეიძლება; მაგრამ ტაქციამ არც ამაში უშველა-რაო, რადგან სინილისიანი ყურის-მგდებელი უნდა ტაქციის რიგთანად შესრულებასაო.

შველაზე უფრო გაცხარებული ბაასი ჩამოვარდა რჩევაში უფ. ხმოვანის სტ. ზ. ზარაფოვის წინადადების გამო, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ, რადგან ქალაქი საკმაოდ დიდ ჯამაგირს აძლევს ქალაქის თავსა და ზამგეობის წევრებს, რადგან იმათ უიმისოთაც ბევრი საქმე აქვთ და ამას გარდა რადგან არის ისეთი თანამდებობა, რომლის ალება ქალაქის ზამგეობის წევრებისაგან ქალაქის ინტერესისათვის შეიძლება მენებელი იყოსო, ამის გამო, როგორც რიგისა და პეტერბურლის ქალაქის რჩევებმა გადაწყვიტეს, ჩვენც გადავწყვიტოთო, რომ ქალაქის თავსა და ზამგეობის წევრებს არ ჰქონდესთ უფლება, რომ სხვა რომელიმე ჯამაგირიანი თანამდებობა აკისრონ.

ის წინადადება ზამგეობის წევრმა უფ. მატინოვმა თავის თავზე მიიღო. ის წამოაღდა და აღელვებული ხმით გამოაცხადა, რომ ეს პირ-და-პირ მე შემეხება. მაგრამ ქალაქის რჩევისაგან უსამართლობა იქნება მოსთხოვოს ზამგეობის წევრს, რომ გარდა ამ თავის მოვალეობისა სხვა არაფერიათ საქმეს არ მოჰქიდოს ხელიო. მართალია, ესთქვათ ბანკის გამგებელად ანუ დირექტორად დადგომა იმას არ შეუძლიან, რადგან ეს ბევრ დროს თხოულობს; მაგრამ იმისთანა თანამდებობის მიღება ამავე ბანკში, რომელიც კვირაში ერთს საათს თხოულობს, ყველას შეუძლიანო. ან კი თქვენ რას დასდევთ, ოღონდ თავის მოვალეობა ზამგეობაში კარგათ შეასრულოთო. ამ თავითვე ვაცხადებო, რომ თუ უფ. ზარაფოვის წინადადება მიიღეთ, მე ხვალვე გამოვალ სამსახურიდამაო და სხვ.

მეორე ზამგეობის წევრმა უფ. ლოლუხანოვმაც იმის მხარე დაიჭირა. ის ამტკიცებდა, რომ კანონი არ შეიწყნარებს რჩევის ამგვარს განაჩენსო, კანონით სხვა უწყებაში სამსახურის ნება გვაქვსო. ამას გარდა ერთხელვე სანდო კაცი ამოგირჩევიათ, იმის კეთილ-სინილისიანობის იმედი უნდა ჰქონდესთო, მომეტებული კანტროლი რა საქროაო და სხვ.

შველა ეს საბუთები ადვილად და მარჯვედ დაარღვია წინადადების შემომტანმა უფ. ზარაფოვმა და ბოლოს, ხანგრძლივი ბაასის შემდეგ, მოითხოვა, რომ ეს საგანი კენჭის-ყრით გადაეწყვიტა რჩევას.

მოიტანეს კენჭის-საყრელი ყუთები. შველასთვის ცხადი იყო, რომ აქ უფ.

ზარაფოვის წინადადებას კი არ უყრიდნენ კენჭს, არამედ ზამგეობის წევრს უფ. მატინოვს...

მეთერთმეტე საათის ნახევარზე თავს-მჯდომარემ უ. ლ. ი. შიფიანმა გამოაცხადა კენჭის-ყრის შედეგი: უფ. ზარაფოვის წინადადებას ამოუყიდა 20 თეთრი და 21 შავი... უფ. მატინოვი გადაჩა და დარჩა...

აპით გათავდა ეს სხდომა.

დღიური

* * * ღაღა დიდი მარხვა თავის ღანძლითა და ლობიოთი, თავის მყუდრო ცხოვრებითა და მოწყენით, და ჩამოვარდა ლაპარაკი საზოგადო ლექციების გამართებაზედ. თფილისის პრუჟოკი აცხადებს, ვისაც ამ დიდ-მარხვაში ლექციების წაკითხვა ჰსურს, ვთხოვეთ პრუჟოკის სტარშინებს მომართოსო.

სხვამ თუ არაფერ, ჩვენმა ექიმებმა მაინც უნდა მიაქციონ ამ ვანცხადებას ყურადღება: იმათი მოვალეობაა ახლა, რომ წაიკითხონ ლექციებს ჟამზედ, გავაცნონ ეს საშინელი ავთოყოფობა და თან დაგვაროგონ—თუ როგორი ცხოვრება და რა გვარი გაფრთხილება გვექირება, რომ ის ავიშროოთ თავიდან.

* * * ჩვენ გვითხრეს, რომ ალექსანდროვის სამასწავლებლო ინსტიტუტის შაგირდებისათვის დაუწყებინებიათ საქართველოს ისტორიის სწავლება. მადლობა დაერთს!.. ძვიღვს!.

* * * ჩვენ შევიტყეთ, რომ ლონდონის გაზეთის „დელი ნეუსის“ კორრესპონდენტს ბერტი ვილატ ქართველის (იმერლის) ქალი შეუერთავს ბათუმში.

* * * მართლიდამ გვწერენ, რომ ამ ჟამად იქითკენ მეტის-მეტი თბილი ტაროსები არისო და ყანებიც მშვენიერად ამწვანდაო.

იქიდანვე გავტყობინებენ, რომ სოფ. მეტეხის სასოფლო შკოლაში ორმოცდაათი შაგირდი დაიარებაო. ამ შკოლის მასწავლებელი ცდილობსო, რომ განსწავლოს იქ დამზოგველი მალაზია (დებო), რომლის პროექტი უკვე წარუდგენიათ მთავრობისათვის დასამტკიცებლად.

* * * მორიდამ მოგვიყიდა ამბავი, რომ თებერვლის 10-ს ქართული სცენის მოყვარეებს წარმოუდგენიათ იქ ანტონოვის კომედია „მე მი ნდა კ ნ ე ი ნ ა გ ა ვ ხ დ ე.“ წარმოდგენაზე ბევრი ხალხი დასწრება; მოთამაშეებსაც საზოგადოთ კარგათ უთამაშნიათ, მაგრამ ყველაზე უკეთ აუსრულებიათ თავის როლები მეჯვრისხევის შკოლის მასწავლებელს უფ. ნათაძეს, ინათამოვისას და მალალოვისას.

ხარჯს გარდა შემოსავალი დარჩენილა სულ ათ თუმან ნახევრამდინ, რომელიც ორი სასოფლო შკოლის სასარგებლოდ შეუწირავთ.

ქართული მანტრის უკუ

„დავკაში“ №34 დაბეჭდილია პატარა შენიშვნა ქართულს წარმოდგენაზე 9 თებერვლისა. შენიშვნის დამწერი ამბობს, რომ „აქტიორებმა, როგორც ყოველთვის, ცუდათ ითამაშესო და ამიტომაც ჰკიცხავს და არიგებს ჩვენ სცენის მოყვარეთა: ასე წარმოდგენა არ შეიძლებაო, თქვენ თეატრის მნიშვნელობა არ გესმისთო და სხვ...

დასამტკიცებლათ მოიყვანს მაგალითებს: შორჟ-დანდენს, რომელიც იჭვიანი ბერი კაცი უნდა იყოსო, და იმის მაგიერათ ვილატ სულელი ყმაწვილი კაცი წარმოადგინესო, მოლიერის ძალადექიმის ნაცვლათ ვილატ დაგლეჯილი ტრახტირჩიკი გამოიყვანესო და სხვ.

ამის დამწერი ან უწინდელ წარმოდგენაებზე არა ყოფილა, ან ამ უკანასკნელ წარმოდგენას არ დასწრებია და კრიტიკა დაუწერია ისე... ზეპირათ, თორემ ვისაც ვი ვალი და ყური აქვს, იმისთვის განსხვავება აშკარაა.


მე არ ვიტყვი, რომ 9 თებერვლის წარმოდგენა სამაგალითო რამ ყოფილიყოს, მაგრამ ის კი ყველასათვის ცხადია, რომ უკანასკნელი წარმოდგენა არ შეედრება უწინდელს; საზოგადოებამაც ღირსეულათ დააფასა მოთამაშეების გულმოდგინეობა და აღტაცებულის ტაშის-კვრით.

მეორე თეატრის ცოდნა გამოიჩინა შენიშვნის ავტორმა:—იჭვიანი ბერი-კაცის მაგიერ შორჟ-დანდენი სულელ ყმაწვილ კაცად წარმოადგინესო და ძალადექიმის მაგიერ—დაგლეჯილი ტრახტირჩიკიო. შორჟ-დანდენის ხნისა-რა მოგახსენოთ, კომედიადამ არა სჩანს, რომ ეს კაცი უთუოთ ხნიერი ყოფილიყოს, მაგრამ მის სულელობაზე ეჭვი არ შეიძლება,—ეს აშკარაა.

ისიც დავიწყებია კრიტიკოსსა, რომ „ძალად ექიმი“ გადაკეთებული კომედიაა და არა ნათარგმნი. მათუთა—ძალად-ექიმი მოლიერის კომედიაში შეშის მჭრელია და ქართულში—მევაქსე. შეშის მჭრელი თუ მევაქსე—დაგლეჯილი იქნება, ამას რაღა თქმა უნდა!

„მისურვებთ ქართულის სცენისათვის წარმატებას მომავალში და ვურჩევთ კარგი გამგები (რეჟისორი) იშოვნონო.“ ასე ათავებს თავის შენიშვნას ჩვენი თეატრის კეთილ-მოსურნე.

მეც გავათავებ საფრანგეთის კოროლის სიტყვით: „ღმერთო, მიხსენ მეგობრისაგან, მტერს კი მე თვითონ დავძლევ!“



განცხადებანი

თფილისის გუბერნიის თავად-
ანაუკთა საზოგადოების შემოქმედ-
ებელ ფოსტავლეთა შემოქმედისათვის
გამგებელ კომიტეტისადან.

რადგანც „საზოგადოების“ შრომა-
ში ყველა წევრისი დაქირაობის არიან
ამიტომ აზრის შემოტანა ამ ქაშად აღარ
შეიძლება. შაწყოლება, რომელნიც
ჯერ არ ირიან მოყვანილნი, უათუოდ
უნდა გამოცხადდნენ 14 თებერვლამდე,
თუ არა და გამორიცხულნი იქნებიან
სიილამ. ბარედამ მოხარულე მოწაფე-
თავან, რომელნიც არიან განთავისუფლ-
ებულნი სწავლს ფასიანად, ამის შეტყუ-
ბა შეიძლება თვით შკოლაში.

(3-1)

თფილისში უფ. ბ. ჩარკვიანის წი-
გნის მალაზიაში და ქუთაისში უფ.
პოტე მესხის წიგნისე მალაზიაში ისპი-
დება:

ალგანახი

შედგენილი

ბ. თუბანიშვილისაგან

წიგნი მეორე

ბამოცემული ბ. ჩარკვიანისაგან

ფასი—ორი აბაზი

(5-1)

პირუტყვით მფარველობის საზო-
გადოების წევრნი და აგრეთვე ყველა-
ნი, ვისთვისაც ეს საგანი სინტერესოა,
მოწვეულნი არიან მობრძანდნენ ამ სა-
ზოგადოების სერთო კრებაზედ, ამ თე-
ბერვლის 20-ს, ქავკასიის სამეცნიერო სა-
ზოგადოების სადგომში, აღმკვიანდროვის
ბაღში, ბარათინსკის ქუჩაზე.

(3-2)

ანგარიში

საზუბ-ენისლის გამსახვებელ-შემანახველი ანხანაზოგების

1878 წლისა

1 იანვარს 1878 წელსა იყო:

	მან.	კაპ.		მან.	კაპ.
წილადი ფული	1650	57	ბასესხებული	3624	50
სასარგებლოდ შემოტანილი	2321	83	ნაღდ ფულად	727	97
სათადარიგო თანხა	21	65	საურთიერთო ნდობის სა-		
წმინდა მოგება	458	42	ზოგადოებაში საწევრო შე-		
			სატანი	100	„
ჯამი	4452	47	ჯამი	4452	47

1878 წელს არის:

შემოსავალი.

ბასავალი.

	მან.	კაპ.		მან.	კაპ.
წილადი ფული	871	64	წილადი ფული	24	„
სარგებელი დაქირაული გასეს-			მოგება 1878 წ. წილადებზე		
ხების ანუ ახალი ვადის			მიცემულ	155	76
მიცემის დროს	523	96	ბასესხებული	7174	„
ჯარიმა	12	97	სარგებელი დაბრუნებული		
დაბრუნებული სესხები	5512	„	ვალზე წინ გადახდილის სეს-		
სასარგებლოდ შემოტანილი	155	76	ხისა	2	10
სათადარიგო თანხა	41	5	სამმართველოს ხარჯი	116	80
			აღებ-მიცემობის გასავალი	165	79
ჯამი	7117	38	ჯამი	7638	45

1 იანვარს 1879 წელსა არის:

	მან.	კაპ.		მან.	კაპ.
წილადი ფული	2498	21	ბასესხებული	5286	50
სასარგებლოდ შემოტანილი	2477	59	ნაღდ ფულად	206	90
სათადარიგო თანხა	62	70	საურთიერთო ნდობის სა-		
წმინდა მოგება	554	90	ზოგადოებაში საწევრო შე-		
			სატანი	100	„
ჯამი	5593	40	ჯამი	5593	40

თავსმჯდომარე რჩევისა: თ. ბიორგი ჯარჯაძე

წევრნი რჩევისა {
 ნინიკო მჭედლიშვილი
 ლევან ბაჭიაშვილი
 სვიმონა ხეჩიაშვილი
 ლაზარე ნერსესაშვილი
 ივანე ღათიაშვილი

მმართველნი

{
 შანო როსტომაშვილი
 მამა ჩანტაურავი
 ნიკო ქონკოშვილი

9 თებერვალი 1879 წ. ს. მინელი

რ.პ. გზა.	დღეა.	ს.ღა.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან.კაპ.	გაზანდა	მან.კაპ.	თფილისის სამაჟრნალო.
თფილისი	9/21	18	კაპ.	მ.კაპ.	ორი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 16 თებერვ.		მრევნ.ს მადანზე, წინამძღვარის საბლებში.
მცხეთა	10/11	27	68	38	ქაშისის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	50	ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	160	აქეთყოლებს მიიღვენ ყოველს დღე დღის 9 საათიდან 1-მდენ.
ბორჯომი	11/5	9	43	240	როსტოვ, მდესას, მოსკოვ	2	ჭერი ფული	120	მ.რ.შაბათს: მერმიშვილი და ბა- რ.ლევინი—მინ.გ. ავათ., მიუჩა- რინც—საჯარო ექიმი და საშვი- ლოს ოპერაციები.
საშური	12/9	11	7	3	პეტერბურს, მარზაგას.	2	ბამბა მრეცისა, თუთი.	750	სამშაბათს: მერმიშვილი—ში- ნაგ. პ. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაგ- შვის, პეტროვი—თვალის.
სტუმბი	1/14	4	42	2	მსხალთშ, შვიცროში.	3	აპერიკია, ფული.	860	მ.რ.შაბათი: მერმიშვილი ში- ნაგანი.
ქვილი	5/49	5	81	3	იტალია და ს.ფრანგეთში.	3	ბაპენტონი ბამბა ფული.	960	ხუთშაბათს: მერმიშვილი—ში- ნაგ., მიუჩარინცი—სიქოლიტიკუ- რი და საზარდე ორგანების.
რიონი	6/5	6	75	3	ნიგლისში.	3	მატყედი თუშური ფული	660	პარასკევს: მერმიშვილი—მინ.გ., პ. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბაგშევის.
სამტრედია	7/51	7	73	4	ფოქტა	3	მატყედი თუშური ფული	660	შაბათს: მერმიშვილი შინაგ., და პეტროვი—თვალისა.
ახალსენაკი	8/43	8	57	4	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარ- თ, მუთასს, რუხეთ.—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. მხურ.—პარასკ. და ორშ. პ. ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) მუთაი- სიდან: თფილისისა და შოთის კენ- ჭრედ დღე, კვირას გარდა. მხურ- გეთს—ორშ. და პარასკ.	75	440		
ფლოია	9/50	9	75	5	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	75	აპრეშუმი ნუხური სტ.	210	
ფოთი	9/3				ლია წიგნის	4	მონი, ფული	540	
ახალსენაკი	10/14		1	18	დ. ბ. ქალის (ბ. მი მისხალი)	8	მონის სანთლი ფული	750	
სამტრედია	11/5		2	6			სტეარინის სანთელი ფთ.	1270	
რიონი	12/13		3	1			ხორცი ძროხისა, ლიტ.	18	
შერლა	1/18	ღამე	3	9			ცხვრისა, ლიტრა	18	
სტუმბი	5/12		110	5			სპირტი ვედრო	460	
საშური	5/39		137	5			შაქარი, ბროც. ფული	740	
ბორჯომი	7/5		4	8			ფხვნილი ფული	560	
მცხეთა	8/50		6	5			შავა გრგვლი, გირვ.	70	
თფილისი	9/31		7	5			ჩეთი ქუჩულისა ფული	1240	
			9	7			თამბაქო, საშუალო ფთ.	670	